

პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩასაბარებელი გამოცდების დავალებათა ნიმუშები
ფიზიკაში

1. ჩამოთვლილთაგან

I. წყალი II. წყლის წვეთი

ფიზიკური სხეულია

ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ II გ) ორივე დ) არც ერთი

2. რომელ კანონს ასახავს შემდეგი მოკლე გამონათქვამი: ქმედება ტოლია უკუქმედების?

- ა) ნიუტონის პირველი კანონს
- ბ) ნიუტონის მეორე კანონს
- გ) ნიუტონის მესამე კანონს
- დ) ენერჯის მუდმივობის კანონს

3. დენის ძალის ერთეულია


- ა) ნიუტონი
- ბ) გრამი
- გ) ამპერი
- დ) ჯოული

4. რამდენჯერ უნდა გაიზარდოს სხეულის სიჩქარე, რომ მისი კინეტიკური ენერჯია გაიზარდოს 16-ჯერ?

ა) 4 -ჯერ ბ) 8-ჯერ გ) 16-ჯერ დ) 32-ჯერ

5. აგურის პირველი წახნაგის ფართობია S, მეორესი – 2 S, ხოლო მესამესი – 3 S (იხ. ნახ.). რომელი მათგანით უნდა დავდოთ ჰორიზონტალურ ზედაპირზე აგური, რომ

ზედაპირზე წნევა მაქსიმალური იყოს?



- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) ნებისმიერი წახნაგით დადებისას წნევა ერთნაირია

წნევა ტოლია ზედაპირზე დაწოლის ძალის შეფარდებისა საყრდენ ფართობთან: $p = \frac{F}{S}$. აგური რომელი წახნაგითაც არ უნდა დავდოთ ჰორიზონტალურ ზედაპირზე, დაწოლის ძალა ერთი და იგივე იქნება - აგურზე მოქმედი სიმძიმის ძალის ტოლი. წნევის განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ წნევა მაქსიმალური იქნება მაშინ, როდესაც საყრდენი ფართობი მინიმალურია. მინიმალურია პირველი წახნაგის ფართობი. ე.ი. სწორი პასუხია (ა).

6. მოცემულია სამი სხეული. პირველის სიმკვრივეა $0,9 \text{ გ/სმ}^3$, მეორის – $1,2 \text{ გ/სმ}^3$, მესამის – $1,4 \text{ გ/სმ}^3$. რომელი მათგანი ჩაიძირება სითხეში, რომლის სიმკვრივეა $1,1 \text{ გ/სმ}^3$?

- ა) არც ერთი
- ბ) მხოლოდ პირველი
- გ) მხოლოდ მეორე და მესამე
- დ) სამივე ჩაიძირება


თუ სხეულის სიმკვრივე მეტია სითხის სიმკვრივეზე, მაშინ სითხეში სრულად ჩაშვებულ სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა მეტია ამომგდებ ძალაზე და ამიტომ სხეული იძირება. თუ სხეულის სიმკვრივე ნაკლებია სითხის სიმკვრივეზე, მაშინ სითხეში სრულად ჩაშვებულ სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა ნაკლებია ამომგდებ ძალაზე და ამიტომ სხეული ამოტივტივდება სითხის ზედაპირზე. აქედან გამომდინარე სწორი პასუხია (გ)

7. ჩამოთვლილთაგან ყველაზე კარგი თბოიზოლატორია:

- ა) ხე
- ბ) ბეტონი
- გ) სპილენძი
- დ) რკინა


8. სკალიანი ხელსაწყოს დანაყოფის ფასია მანძილი ორ მეზობელ შტრიხს შორის. რისი ტოლია ნახაზზე გამოსახული მენზურის დანაყოფის ფასი?

- ა) 4 სმ³
- ბ) 5 სმ³
- გ) 20 სმ³
- დ) 40 სმ³




9. ნახაზზე გამოსახულ სქემაზე ჩამრთველი გამორთულია და ანთია ორივე ნათურა. როგორ შეიცვლება II ნათურის ნათება?

- ა) მოიმატებს
- ბ) იგივე დარჩება
- გ) მოიკლებს
- დ) სულ ჩაქრება



10. რომელ ნახატზეა სწორად გამოსახული საგანი და მისი გამოსახულება ბრტყელ სარკეში?



- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4

11. ნახატზე გამოსახული რომელი ხელსაწყოთი იზომება სითხის მოცულობა?



1



2



3



4

- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

12. ნახაზზე გამოსახულია სხეულის მიერ გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. რა მანძილი გაიარა სხეულმა 2 წმ-დან 10 წმ-მდე დროის შუალედში?

- ა) 8 მ
ბ) 16 მ
გ) 24 მ
დ) 32 მ

